

არაფორმალური განათლების როლი სკოლაში

მარინა დიდმანიძე¹, კუჭავა მანანა², დიდარ დიდმანიძე³

¹ქალაქ ბათუმის N 25 საჯარო სკოლა

²ქალაქ ბათუმის N 3 საჯარო სკოლა

³ახალსოფლის საჯარო სკოლა

mari.didmanidze@gmail.com, maku57@mail.ru, ddidari1966@gmail.com

რეზიუმე

არაფორმალური განათლების როლი დიდია სასკოლო ცხოვრებაში, ის იძლევა არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნას, არამედ ისეთ უნარებს (მაგალითად კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარები და სხვა), რომელიც ხელს უწყობს ადამიანის საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრირებას და მის რეალიზაციას. არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ფორმალურ სასწავლო დაწესებულებებში (ბაღი, სკოლა, პროფ. სასწავლებელი) შედეგების გაუმჯობესებას. ეს არის ფორმალური განათლების გაგრძელება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული უნარების, ცხოვრებისეული და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას. ამ უნარების დაუფლებით მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადება და ხდება თავდაჯერებული.

საკვანძო სიტყვები: არაფორმალური განათლება, სასკოლო ცხოვრება, შემოქმედებითად აზროვნების უნარები.

1. შესავალი.

არაფორმალური განათლების დროს მოსწავლე არ არის შეფასებაზე დამოკიდებული, ამიტომ თავს კარგად გრძნობს და შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა. ის არ არის დამაბული და არც დროში შეზღუდული. ასეთი სწავლებისას მოსწავლე მხოლოდ მასწავლებლისგან კი არ სწავლობს, არამედ თანატოლებისგანაც, რომლის ენაც კარგად ესმის. სწავლება სახალისოა, რადგან მოსწავლის ინტერესებზეა მორგებული.

არაფორმალური განათლება ფორმალური განათლებისგან განსხვავებით:

- ცნობილია როგორც მოკლევადიანი ან სპეციფიკური განათლება, რომელიც ემსახურება ინდივიდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;
- მიზნად ისახავს მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში არა მომავალში, არამედ ცოდნის მიღების დღიდან.
- მოკლევადიანია და მიზანზე ორიენტირებული.

სხვადასხვა კვლევის შედეგმა აჩვენა [1-3], რომ უმეტესი წილი, ფორმალური განათლების პარალელურად, სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. შესაბამისად, მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი თანხმდება, რომ, მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში.

ფორმალურ განათლებაში თუ წინასწარ არის განსაზღვრული პროგრამა, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის მოთხოვნებზეა აგებული და მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას აძლევს, ეხმარება კარიერის დაგეგმვაში, მნიშვნელოვანია მისი როლი პროფესიულ განათლებაში, რომელიც აუცილებელი რგოლია განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

2. ძირითადი ნაწილი.

ჩვენც ვცდილობთ არაფორმალური განათლების დახმარებით მათემატიკის საგნის პოპულარიზაციას და სასწავლო პროცესის უფრო სახალისოდ წარმართვას. მოგიყვებით რამდენიმე მათგანზე:

მათემატიკის წიგნებში რომელითაც სწავლობენ მოსწავლეები დაწყებით კლასებში, არის დავალებები სადაც უნდა მოიძიონ ინფორმაცია, ამოარჩიონ მნიშვნელოვანი, მისცენ პრეზენტაციის სახე და წარუდგინონ კლასს. დასაწყისში უმეტეს მოსწავლეს უჭირს სწორი ინფორმაციის ამორჩევა, და თითქმის ყველას უჭირს წარდგენა. აღნიშნულის დასაძლევად, მოსწავლეებს გავაცანით პრეზენტაციის გაკეთების მნიშვნელოვანი დეტალები. პრეზენტაციის მომზადებისა და წარდგენის უნარების განმტკიცებისთვის გაგვიჩნდა იდეა, გაგვეკეთებინა სასკოლო კონფერენცია მათემატიკაში, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ IV – VI კლასის მოსწავლეები. მოცემული თემებიდან უნდა აერჩიათ ერთ-ერთი და წარმოედგინათ ან PowerPoint - ის სახით ან ფლიპჩარტზე. თემები იყო:

- ცნობილი ქართველი მათემატიკოსები.
- რიცხვები.
- ძველი ქართული საზომი ერთეულები.
- ათვლის სიტემები.

ჟიურის წევრები იყვნენ მასწავლებლები. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

კონფერენციის მიზანი იყო: მოსწავლეებს განუვითარდეთ კვლევა-ძიების უნარი, პრეზენტაციის წარდგენის უნარი, წარდგენილი თემებზე ცნობადობის ამაღლება.

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ კონფერენცია, ნათელი იყო რომ გაითვალისწინეს მიცემული რეკომენდაციები. ბევრად უკეთესად წარადგინეს საკუთარი ნაშრომი. მოსწავლეებთან ერთად შევთანხმდით, რომ კონფერენცია იქნებოდა მდგრადი და ყველა წელს ჩატარდებოდა

2022 წლის დეკემბერშიც ჩავატარეთ კონფერენცია შემდეგ თემებზე:

- მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- რიცხვების წარმოშობის ისტორია;
- მათემატიკის წარმოშობის ისტორია;
- ცნობილი გამონათქვამები მათემატიკაზე.

წინა წლის მსგავსად მოსწავლეებმა ნამუშევრები წარმოადგინეს შეძლებისდაგვარად PowerPoint - ის სახით ან ფლიპჩარტზე. ამ წელს ჟიურის წევრები იყვნენ მე-11 კლასელები, რომლებმაც საბოლოოდ გამოავლინეს, მათ მიერ შედგენილი კრიტერიუმებით, ორი საუკეთესო მომხსენებელი, რომელთაც დამატებით სერტიფიკატის გარდა გადაეცათ მხატვრული ლიტერატურა.

2024 წლის მაისშიც ჩავატარეთ რიგით მესამე კონფერენცია თემებზე:

- რიცხვები და ალგებრა;
- გეომეტრია;
- საინტერესო ამოცანების განხილვა;
- მონაცემები და დიაგრამები.

მოსწავლეებმა ნამუშევრები წარმოადგინეს ისევ PowerPoint - ის სახით ან ფლიპჩარტზე. ამ წელს ჟიურის წევრები იყვნენ საბაზო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც საბოლოოდ

გამოავლინეს ჟიურის რჩეული, რომელსაც დამატებით სერტიფიკატის გარდა ამჯერადაც გადაეცა მხატვრული ლიტერატურა.

მოსწავლეებმა რომლებმაც სამივე წელს მიიღეს მონაწილეობა კონფერენციაში, უკვე თამამად წარადგენდნენ პრეზენტაციას. მომავალშიც გაგრძელდება სასკოლო კონფერენცია მათემატიკაში.

ასევე სამი წელია ვატარებთ სასკოლო მათემატიკის ოლიმპიადას „მათემატიკურ ჭიდილს“, რომელიც ჩავატარებთ მათემატიკის კათედრის წევრებთან ერთად V – VI კლასებში. „მათემატიკური ჭიდილი“ ჩატარდა ორ ეტაპად, პირველი ტური ჩატარდა ინდივიდუალურად, თითოეულ მოსწავლეს დაურიგდა 12 ლოგიკური ამოცანა. მეორე ტურში გადავიდა ის მოსწავლეები, რომლებმაც დააგროვეს 50%-ზე მეტი. მეორე ტური უკვე ჯგუფური იყო, სადაც კლასების მიხედვით 4-5 მოსწავლისგან შედგენილ ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ. მეორე ტურში წარმოდგენილი იყო 15 ლოგიკური ამოცანა, რომელიც პროექტორით იყო წარმოდგენილი. თითოეულ ამოცანას სირთულის მიხედვით ქონდა გარკვეული დრო დათმობილი. მოსწავლეები ფურცლებზე წერდნენ პასუხებს, რომელიც გადაეცემოდა ჟიურის, რომლებიც იყვნენ მეათე კლასის მოსწავლეები. ჟიური ამოწმებდა პასუხებს, საბოლოოდ დაითვალა სწორი პასუხები და გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომლის თოთოეული მოსწავლე დაჯილდოვდა სერტიფიკატით.

მიმდინარე სასწავლო წელს მსგავსი ოლიმპიადა ჩავატარებთ II – III კლასის მოსწავლეებისათვის. მათთვის ძალიან სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა.

2023 წლის იანვარში შეიქმნა მათემატიკის მოყვარულთა კლუბი „ალგორითმი“, სადაც გაწევრიანებული არიან IV, V კლასის მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებიდან, კლუბში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. კლუბისთვის შევადგინეთ სამუშაო გეგმა და წესდება. პირველ დღეს მოსწავლეებთან ერთად შევარჩიეთ კლუბის სახელწოდება, ასევე მოსწავლეებმა ჩამოწერეს მოლოდინები, რაც აქვთ ამ კლუბთან დაკავშირებით. ბოლო დღეს შეავსეს თვითშეფასების კითხვარი, სადაც აღნიშნეს, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

კლუბში მეცადინეობა მიმდინარეობდა დამოუკიდებლად, წყვილებში და ჯგუფურად. კლუბური მუშაობა მოიცავდა სხვადასხვა სახის ვიქტორინებს, რაშიც თითოეული მოსწავლე დიდი ხალისით ერთვებოდა. კლუბური მუშაობის გეგმაც მოსწავლეებთან ერთად განვიხილეთ. განსაკუთრებით მოეწონათ სუდოკუ და იაპონური ხატვა. გააკეთეს მინი პროექტი „სტატისტიკა“, სადაც შეაგროვეს მონაცემები გამოკითხვის გზით, შეადგინეს ცხრილი და ააგეს სხვადასხვა სახის დიაგრამა. იმუშავეს სახალწლო კედლის გაზეთზე, გაეცნენ სხვადასხვა ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს, რაც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. გაიგეს რას გულისხმობს ოქროს კვეთა და გაეცნენ ოქროს კვეთის სხვადასხვა მაგალითს. შლილების მიხედვით ააგეს სხვადასხვა სივრცითი გეომეტრიული ფიგურები. გაიგეს 9-ზე, 11-ზე და 25-ზე მარტივად გამრავლების წესები. ასევე განიხილეს სხვადასხვა სახის მიმდევრობა და მისი გავრცობა. ამოხსნეს ამოცანები წონისა და მასის ერთეულის გადაყვანაზე. მუშაობდნენ დიდი ხალისით სხვადასხვა სახის ლოგიკურ ამოცანებზე, ერთ-ერთ მეცადინეობაზე თვითონ მოიძიეს ლოგიკური ამოცანები სხვა ბავშვებისათვის. მოეწყო გასვლითი ღონისძიება მათემატიკურ გამოფენაზე, რომელიც განსაკუთრებულად მოეწონათ.

თითოეულ მოსწავლეს ძალიან მოეწონა მათემატიკური კლუბი, ზოგიერთი მოსწავლის შეფასებას გაგაცნობთ: „კლუბის მერე უფრო მეტად შემეყვარდა მათემატიკა“, „უფრო საინტერესო ყოფილა მათემატიკა ვიდრე მეგონა“, „მარტივი ყოფილა მათემატიკა თურმე“.

კლუბური მუშაობის დრო თუ დასვენების დღეს დაემთხვეოდა გვთხოვდნენ სხვა დღეს აუცილებლად ამენაზღაურებინა. ვფიქრობ ჩვენს დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

მოსწავლეებისთვის რომ დაგვენახვებინა თუ როგორი ლამაზი და საჭიროა მათემატიკა გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კონკურსი „ვიმოგზაუროთ ციფრების ჯადოსნურ სამყაროში“. თითოეულ მოსწავლეს უნდა დაემზადებინა მათთვის სასურველი ერთი ციფრი, მათთვის სასურველი მასალით. კონკურსში ჩაერთო I – V კლასის მოსწავლეები. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, არაჩვეულებრივი ნამუშევრები შექმნეს. მათი ნამუშევრები გამოიფინა ერთი კვირის მანძილზე, ჟიურიმ შეარჩია საუკეთესო ნაშრომები და მათ გადაეცათ მატერიალური სერტიფიკატები, სხვა დანარჩენ მოსწავლეებს ონლაინ ფორმით. ასევე მუსიკის მასწავლებელთან ერთად ჩატარდა ღონისძიება „ციფრების სამეფო“, სადაც ციფრები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს რომელი უფრო მნიშვნელოვანია და საჭიროა, საბოლოოდ შეთანხმდებიან რომ თითოეულის გარეშე გაუჭირდებათ ადამიანებს.

იმისათვის რომ გვეჩვენებინა მოსწავლეებისათვის, მათემატიკა ყველგან და ყველგანაა, ჩავატარეთ კონკურსი „შევძინოთ მეორადი სიცოცხლე ნივთებს მათემატიკის დახმარებით“. მოსწავლეებს უნდა დაემზადებინათ მეორადი ნივთებით ნაძვის ხე მათემატიკური ელემენტებით. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები. ნომინაციები შემდეგი იყო: „ყველაზე ორიგინალური“, „ყველაზე მათემატიკური“, „ჟიურის სიმპათია“, „ყველაზე მეორადი“.

3. დასკვნა.

არაფორმალური განათლება გვაძლევს საშუალებას მოსწავლეებში მოვახდინოთ საგნის პოპულარიზაცია, ვაჩვენოთ, რომ მათემატიკა ლამაზია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან საჭიროა, მათემატიკა ირგვლივ ყველგან და ყველგანაა, გავააზრებინოთ ცნობილი იტალიელი ასტრონომისა და ფილოსოფოსის, გალილეო გალილელის სიტყვები „ბუნება მხოლოდ მათემატიკის ენაზე გვესაუბრება“. არაფორმალური განათლება ასევე გვეხმარება ცოდნის ტრასფერში, რითაც ხვდებიან მათემატიკის შესწავლის მნიშვნელობას და აუცილებლობას.

არაფორმალური განათლება არის ფორმალური განათლების უმნიშვნელოვანესი და შემავსებელი ნაწილი. ის ეხმარება ბავშვს გაიზარდოს ნიჭიერ, ნაყოფიერ, სოციალურად ადაპტირებულ და ბედნიერ პიროვნებად. მთავარია, რომ ეს პროცესი ბავშვისთვის სიამოვნებით და სურვილით მიმდინარეობდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Eaton, Sarah Elaine (22 May 2011). "Formal, Non-Formal and Informal Learning". Archived from the original on 30 January 2017.
2. "Quality guide to non-formal and informal learning processes" (PDF). 2004. Archived from the original (PDF) on 14 December 2010.
3. Aruștei, Carmen Claudia; Florea, Nelu; Manolescu, Irina Teodora (2018). "Forms of learning within higher education. Blending formal, informal and non-formal". *Cross-Cultural Management Journal* (1): 7–15. ISSN 2286-0452. Retrieved 13 June 2023

The Role of Non-Formal Education in School

Marina Didmanidze¹, Kuchava Manana², Didar Didmanidze³

¹Batumi City Public School N 25

²Batumi City Public School N 3

³Akhalosoplis Public School

mari.didmanidze@gmail.com, maku57@mail.ru, ddidari1966@gmail.com

Abstract

The role of non-formal education is great in school life, it provides not only academic knowledge, but also such skills (for example, communication, teamwork, creative thinking skills, etc.), which contributes to the successful integration of a person into society and his realization. Non-formal education contributes to improving outcomes in formal educational institutions (kindergarten, school, vocational school). It is a continuation of formal education that helps develop literacy, digital skills, life skills, and socio-cultural skills in students. By mastering these skills, the student prepares for independent living and becomes self-confident.

Keywords: Non-formal education, school life, creative thinking skills.